



მაკასალია-ბეშიროდლუ

ქართული ანთროპონიმი დუზჯეს რეგიონში

ანთროპონიმი არის ონიმის სახეობა, ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის საკუთარი სახელი, როგორიცაა: პიროვნული სახელი, გვარსახელი, მეტსახელი, ზედწოდება, ფსევდონიმი, კრიპტონიმი, ფიქტონიმი და სხვ. (ცხადაია, 1988, 17).

ანთროპონიმთა წარმოქმნის ერთ-ერთი გზა არის აპელატივის გადაქცევა ადამიანის საკუთარ სახელად, რასაც ანთროპონიმიზაცია ეწოდება. დროის ცვლილებას თან სდევს სახელების ფორმოზრები თუ შინაარსოზრები ცვლილება, რაც აისახება ზოგადად ონომასტიკონში და მის ქვედარგებში, მათ შორის ანთროპონიმიაში. ამდენად, ანთროპონიმია მუდმივ კვლევის ობიექტს წარმოადგენს (კეკუა, 2017).

ანთროპონიმი ენის განუყოფელი ნაწილია და მის სიმდიდრეს გვიჩვენებს (ალ. ღლონტი).

საკუთარი სახელის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. მკვლევრები მას სწავლობენ სხვადასხვა ასპექტით. პირთა სახელდების მიზეზი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ქართული ანთროპონიმის საკითხებზე მრავალი საინტერესო ნაშრომი არსებობს. შენიშნულია, რომ ადამიანის სახელდების სისტემა მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურის ისტორიასთან, ეთნოგრაფიასთან, ხალხის ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან, რელიგიასთან, ტრადიციასთან და სხვა გარემოებასთან. ჩვენ მიერ მოძიებული, საანალიზო მასალა შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად. ესენია - პირსახელები და გვარსახელები.

ა) პირსახელები

პირსახელი იგივე პირის სახელი, პიროვნული სახელი - ინდივიდის აღმნიშვნელი საკუთარი სახელია. დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში იგი შეიძლება იყოს ოფიციალურიც და არაოფიციალურიც (ცხადაია 2005, 99). წინამდებარე მასალის დიდი ნაწილი არის არაოფიციალური სახელები. რომელიც დასტურდება მხოლოდ ზეპირმეტყველებაში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ეთნიკური ქართველი მეხსიერებაში შემორჩენილი ქართული აფიქსებით აფორმებს ადამიანის სახელებს. და ასე ეფერება, ელოლიავება ის შვილს, ახლობელს, მეგობარს, თუ მეტიც, მინავლებულ მშობლიურ ქართულს.



კაი ბაღნებია აჰმედაი, მაჰმედაი; დედეს ალიაი ქვიოდა; ჩემი პაწაი ძმაა სეიჰანაი; ალია უმფოსი, მემრე არი სულთანაი; ფატმა და ხატიჯე თეიზეს გოგვები არიან; ჩემი ალიე ნაკითხია; ეს ზეინაზას ბადიშია; მე აბდულაის ძია ვარ ...

წარმოდგენილი პირსახელები ოფიციალურ სახელთა ვარიანტებია, ქართველთა მეტყველებაში. აფიქსები რითაც საკუთარი სახელებია გაფორმებული ქართულია, რომელიც სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში საგნის მოფერებას ან კნინობითობას გამოხატავენ. წარმოდგენილ საკუთარ სახელთა მიღების გზა ასეთია:

აჰმედ -> აჰმედაი; მაჰმედ -> მაჰმედაი; ალი -> ალია // ალიაი // ალიე; სეიჰან -> სეიჰანაი; სულთან -> სულთანაი; ზეინაზ -> ზეინაზა // ზეინაზაი; აბდულლაჰ -> აბდულაი ...

ამ ტიპის მაგალითების მოყვანა შეიძლება უსასრულოდ, რადგანაც დუზჯეს ქართველთა, განსაკუთრებით მოხუცი (სამოცდაათი წლის ზემოთ) მთქმელების მეტყველებაში თითქმის ყველა საკუთარი სახელი ზემოთ წარმოდგენილი ფორმების მსგავსადაა გაფორმებული:

ჰაჯერ -> ჰაჯერაი; ნურჯან -> ნურჯანაი; ოსმან -> ოსმანაი; იაშარ -> იაშარაი; ჯემილე -> ჯემილეი; ჰავა -> ჰავაი და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელთა ბოლოკიდური -ა, -აი, -ე სუფიქსებია.

დუზჯეს ქართველთა ანთროპონიმებში, ქალის სახელებიდან სჭარბობს ხატიჯე, ფატმა და მერიემი. „გოგო დაიბადება ხატიჯე დაარქმევენ, მეორეს გოგო იქნება და, ფატმაის დაარქმევენ“. სახელი ფატმა თურქულში Fatma ფორმით გვხვდება. როგორც ცნობილია, ქართულში არ გვაქვს კბილბაგისმიერი ყრუ F ფონემა. აღნიშნული ბგერის ადგილას ქართულში გვაქვს - ფ. დუზჯეში მცხოვრები ძველი თაობის ქართველები F - ბგერას ყოველთვის ფ-თი გადმოსცემდნენ. თ ფშვინვიერი თანხმოვანი ტ მკვეთრითაა ჩანაცვლებული. აღნიშნული ფონეტიკური პროცესების შედეგად დასტურდება ფატმა ფორმა. ფატმა არ არის Fatma - ს ერთადერთი ვარიანტი. ზეპირმეტყველებაში გვაქვს ფატუმე // ფატუმა // ფატუმაი // ფატკუმაი // ფატყუმა // ფატყუმაი ფორმებიც.



ყურადღებას იქცევს **ჰატიჯე** სახელი, რომელიც ქართველთა მეტყველებაში **ხატიჯე // ხატუნიე // ხატუნაი // ხატუნია** ფორმებითაც გვხვდება: „აქა ბათომიდან ბაღვები გამოვიდნენ ერთს **ხატულიას** ეძახდნენ, ჩემი ანუ გამახსენდა, ჩემი მამიდა, ჩემი დიდვანები... დავბეშტდი. ჩემი მამიდა ეძახდა გოგოს **ხატულიას**. ჩვენს **ხატულიას** ვიტყოდით. ჩემს **ჰატიჯეს** **ხატუნიეს** ვებნევი. ასეა ჩვენებურა და იმიტომ“. მოქმელთა ახსნაშიც ჩანს, თუ როგორ ცდილობდნენ ქართველები საკუთარი სახელებისთვის ქართული ელფერის მიცემას და ამ ფორმით ქართული სულის შენარჩუნებას. ესეც ქართული იდენტობის შენახვა-შენარჩუნების ერთ-ერთი გზა იყო მათთვის.

ცნობილია, რომ **ხატიჯე** არაა ქართველური სახელი, ისევე როგორც ზემოთ წარმოდგენილი სხვა სახელები, მაგრამ საგულისხმოა რომ დუზჯელი ქართველები ამ უცხოურ სახელებს ქართული აფიქსებით აფორმებდნენ. **ხატიჯე // ხატუნიე // ხატუნია // ხატუნაი** ფორმებისთვის ამოსავალი **ხატ-** ძირია (სალია 2015, 167). შდრ.: **ხატ-ი, ხატ-ია // ხატ-ულ-ია** (სახელი), **დახატული** (მიმღეობა) გადატანითი მნიშვნელობით, ‘ძალიან ლამაზი’.

ქალის სახელებიდან კიდევ ერთი, გავრცელებული სახელია **დილა**. დილა, ოფიციალურ დოკუმენტებშიც ამავე ფორმით დასტურდება, რასაც ვერ ვიტყვით ზემოთ წარმოდგენილ სხვა სახელებზე. მოქმელი ერთგან ასე გვიხსნის: „ჩვენს ოჯახში გოგო რომ დეიბადა ძალვან გვინდოდა ქართული სახელი მიგვესა; ყველამ ის თქვა ენ ქართული ისმი (სახელი) დილააო და ასე იქნა დილა“.

მამაკაცთა სახელებიდან გავრცელებულია **ზექერი** და მისი ფონეტიკური ვარიანტები: **ზექერია//ზექერიე//ზაქარიე**. შდრ.: Zeker (თურქ.)

რელიგიური სახელები - **მერიემ**, ზეპირ მეტყველებაში - **მეირემ, მერიემა** და მამაკაცის სახელი - **დაუთ**, ასევე გაფორმებულია ქართული აფიქსებით: **დაუთაუ//დაუთაი**.

თურქულ ენაში ხშირად ადამიანის რქმევის სახელები თანხმოვანზე ბოლოვდება. მაგალითად: ენეს, გიზემ, მესუთ, ილქიზ... ამ რიგის სახელები დუზჯელ ქართველთა ქართულ მეტყველებაში ისინი -ი დაბოლოებით გვხვდება: ენეს-ი, გიზემ-ი, მესუთ-ი, ილქიზ-ი...



ანთროპონიმები მოიცავს მეტსახელებსაც. მეტსახელთა შერქმევის მიზეზი ზოგჯერ ნათელია, უფრო ხშირად კი გაბუნდოვანებული. ასეთი ფორმები დღეისთვისაა გაუგებარი, თორემ თავის დროზე თითოეულ მათგანს თავისი ახსნა ექნებოდა.

დუზჯეში გავრცელებული მეტსახელები ასე გამოიყურება:

მამაკაცის მეტსახელები: **ტრინკა, ჩლატა, კიტკიტა, ხოტორი, კოდანი, თურქა, ჯაბა, ქეჩანი, აზმანი, აზმაალი, ქართველი, აზმანალი, ხოხო, ლაფერი, ქოჩორა.**

სახელდების მიზეზი უცნობია. მთქმელები მხოლოდ რამდენიმეს ახსნას ახერხებენ:

ფუნდუკა - დასტურდება მამაკაცის მეტსახელად. მთქმელთა ახსნით, იგი **F** ბერის ადგილას, ყოველთვის ამბობდა **ფ**-ს და ამიტომაც შეარქვეს ფუნდუკა. Findik (თურქ.) „თხილი“.

ქალი: ფაცაი - **ფაცაი, ფაცია, ფაციაი** დუზჯეს ქართულ მეტყველებაში, ისევე როგორც აჭარულში, ასაკით პატარა გოგოს აღნიშნავს; აღნიშნული საზოგადო სახელი მეტსახელადაც არის საანალიზო მასალაში. მეგრულში **ფაცია** საკუთარ სახელადაც დასტურდება და გვარსახელადაც. ს. კეკუას სადისერტაციო ნაშრომში **ფაცია** გვხვდება, როგორც გვარსახელი. მისი თქმით, სემანტიკურად **ფაცია** გამოხატავს ფუსფუსა, მოუსვენარ, საქმიან ადამიანს. შესაბამისად, **ფაცია** შეიძლება იყო ისეთი ადამიანის მეტსახელი, ვინც მუდამ ფაციფუცობს, შემდეგ კი იგი იქცა გვარსახელადაც. საყურადღებოა, რომ **ფაცი** და მისგან მომდინარე **ფაც-ა** მამაკაცის პირსახელებადაც რეალურად დასტურდება სვანეთის ისტორიულ საბუთებში (სწმ. II, 1988, 546; ინგოროყვა, 1941, 52 და 81; ლლონტი, 1986, 200). საქართველოს სხვადასხვა მხარეში ასევე რეალურად დასტურდება ამავე ძირის მამაკაცთა პირსახელები და მეტსახელები: **ფაც-აც-ი < *ფაც-ფაც-ი, ფაც-იტ-ა, ფაც-იც-ა, ფაც-ო, ფაც-ურ-ა, ფაც-ურ-ია** (ლლონტი, 1986, 200). ამავე წარმოშობისაა ქალთა სახელები და მეტსახელები: **ფაც-ი, ფაც-ა, ფაც-აც-ო, ფაც-ია, ფაც-იკ-ო, ფაც-ო, ფაც-უ, ფაც-უნ-ი, ფაც-უნ-ი-ე, ფაც-ურ-ა, ფაც-უც-ა** (ლლონტი, 1986, 301). შესაძლოა, ამავე ანთროპონიმებისაგან მომდინარებდნენ დღეს გავრცელებული გვარები: **ფაცაცია,**



ფაციაშილი, ფაცინაშილი, ფაცულია, ფაცურიეშილი, ფაცურია, რომლებშიც ძირითადი გაფორმებულია სხვადასხვა სიტყვათმწარმოებელი აფიქსებით (კეკელიძე, 2017).

მეტსახელებად გვხვდება, ასევე, შემდეგი სიტყვაფორმები: **პაწი, ციცი, ცაცო** (შდრ.: ცაცუნა), **სოლაღა, კოდიჩენი, გაღმააზღაი ...**

ბავშვის კნინობითი თუ მოფერებითი სახელები შესაძლებელია დიდობაშიც შერჩეთ ადამიანებს, მეტსახელად.

ბ) გვარსახელები

ქეგლის მიხედვით, **გვარი** არის საოჯახო სახელწოდება, რომელიც გადაეცემა შვილს მამისაგან (ან დედისაგან), ან ცოლს ქმრისაგან (ქეგლი, II, 1951, 1433). „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ **გვარის** ასეთ განმარტებას გვთავაზობს: 1. სისხლით ნათესავთა ჯგუფი, რომლის წევრები თავიანთ წარმომავლობას დედის ან მამის მხრიდან საერთო წინაპარს უკავშირებდნენ და საერთო სახელწოდება ჰქონდათ. გვარში დაცული იყო ეგზოგამია; 2. დაბადებით ან ქორწინებით მიღებული და შთამომავლობით გადამავალი გვარეობითი სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს (ქსე, III, 1978, 134). პ. ცხადაიას „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვითაც, **გვარი** არის ოფიციალური და მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის პიროვნულ სახელს. მაგ.: **ალექსანდრია, გაფრინდაშილი, გურიელი, იოსელიანი** (ცხადაია, 1988, 33). მოგვიანებით იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ გვარის ასეთი განმარტება ამომწურავია ევროპის ხალხებისათვის, მაგრამ არა ქართველთათვის, ვინაიდან საქართველოში გვარსახელს ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და საადათწესო დატვირთვა აქვს. გვარის შიგნით მტკიცედ არის დაცული ეგზოგამია - ქორწინების აკრძალვა (ცხადაია, 2000, 8-9).

როდის გაჩნდა პირველი ქართული გვარსახელი?

პ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ XI საუკუნეში ქართული გვარი ფეხმოკიდებული იყო. ამ საუკუნის დიდი ფილოსოფოსი **ეფრემ მცირე** იყო გვარად **კარიჭისძე**, შვილი **ვაჩე კარაჭისძისა** (კეკელიძე, 1951, 231).



ქართულ საისტორიო წყაროებში, საბუთებში არაერთი მაგალითი არსებობს, რომელთა მიხედვითაც აშკარაა, რომ ქართული მემკვიდრეობითი სახელები/გვარები ისტორიის სიღრმეშია წარმოქმნილი. მაგალითად, XII საუკუნის საბუთში „ჟინოვანი“ მოხსენიებული არიან „მიხითარაისძენი დავითის შვილნი ოქრაი და მახარაი, ბრაჭი და იოანე“. ამ საბუთში ოთხი ძმის - მახარეს, ბრაჭის, იოანეს და ოქრაის - მამის სახელია დავითი, ხოლო მიხითარაისძე გვარსახელია. ტოხაიდების გვარი პირველად მოხსენიებულია XI საუკუნის დასაწყისში, შემდეგ XII საუკუნის დასაწყისში (1260-1270 წლებში, 1579 წელს). XVIII საუკუნეში კი **ტოხაისძეების** გვარს სუფიქსი შეცვლია: -ძე დაბოლოებას -შვილი დაბოლოება ჩანაცვლებია (ტოხაშვილი).

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უწყვეტად მოიხსენიება გვარსახელი **ჭარმაული**. ამ გვარის წარმომადგენელი - „ჭარმაული ჭაჭნიაშვილი გრიგოლ“ - პირველად 1297 წლის საბუთშია დასახელებული. წარმოდგენილ ანთროპონიმულ მოდელში პირველი გვარია, მეორე - მამის სახელი და მესამე - პიროვნული სახელი. აქედან მოყოლებული ჭარმაულები XVIII საუკუნის თითქმის ბოლომდე მოიხსენიებიან. 1779 წლის საბუთით კი ირკვევა, რომ ჭარმაულები ამოწყვეტილან. XIII საუკუნეში პირველად მოხსენიებული არიან **გარაყანიძეები**, 1412 წელს გვხვდებიან **დედაბრიშვილები**, 1472 წელს - მაღალაშვილთა წინაპარი **მაღალაძეები** და ა. შ.

ჩვენამდე მოღწეულ ყველაზე ძველ საბუთშიცაა გვარი მოხსენიებული. ესაა IX საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული „ფავნელის დაწერილი“. ამ საბუთში გვხვდება აზნაურ **ფავნელების** გვარი. აქვე დასახელებულია ორი გლეხური გვარსახელი: **შულიასძე** და **ტარიკასძე**. 1071-1080 წლებით დათარიღებულ დოკუმენტში ბევრი ქართული გვარის ამოკითხვაა შესაძლებელი, მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლი: **ლიპარიტისძე**, **ჯინჭარაისძე**, **ჯიჯონიძე**, **კეპოისძე**, **ქველაიძე**, **წორბელი**, **ნერჩელი**, **ხვიდილიანი**, **კოროფხიშვილი**, **სქელაეთი**, **შუბავთი...**

აი, ერთი ნაწყვეტი 1200 წლის საბუთიდან: „ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩუენ, ხარაისძეთა კუირიკე და ბასილმან შენ, გიორგი მუშერისძესა“. **ხარაისძეები** მიმართავენ **მუშერისძეებს**: „ან დღეისითგან წაღმართ არავინ იყოს ჩუენი საგუარისა,



არცა ჩუენ, კუირიკე და ბასილი და არცა ჩვენნი შვილნი და მომავალნი სახლისანი“. X საუკუნის პირველ ნახევარში „ქართლის ცხოვრებაში“ დასახელებულნი არიან კახი აზნაურები: გოდერძი **მგდეური**, მამა **ყანჩელი**, დაჩი და ივანე **სხვილოსელნი**, ძმები სარა და გრიგოლ **ფხუენელნი**. IX საუკუნიდან საკმაოდ მომრავლებულია -ელ სუფიქსიანი გვარები: **ჩორჩანელი**, **ტბელი**, **საზუერელი**, **ყანჩაელი**, **კორინთელი**, **სხვილოსელი** ...

ახლა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ჩავიხედოთ: „ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქვა მას სახელი გაბრიელ **დაფანჩული**, და აწ ნათესავთა მისთა ჰრქვიან დაფანჩულნი“; შემდეგ: „ამისთვისაცა, მსგავსად აღთქმისა, ხანძთას შინა ელოცვების ყოველთა დაფანჩულთა ვიდრე დღევანდელად დღემდე“. აღნიშნული ნაწარმოების ავტორი გიორგი მერჩულე X საუკუნის მოღვაწე იყო, რომელიც აღწერდა VIII საუკუნის ბოლო პერიოდისა და IX საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რომ დაფანჩული გვარსახელია. ზ. ჭუმბურიძის დაკვირვებითაც, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული **დაფანჩული** (IX ს. დამდეგის პერიოდი) უკვე გვარსახელია, როგორც მემკვიდრეობითი სახელი, რომელსაც მისი შთამომავლები ატარებენ საუკუნენახევრის შემდეგაც: „ერქვა მას სახელი გაბრიელ **დაფანჩული**, და აწ ნათესავთა მისთა ჰრქვიან **დაფანჩულნი**“ (იხ. თოფჩიშვილი, 1997, 45).

ალ. ღლონტის აზრით, გვაროვნული სახელი, როგორც ენობრივი და სოციალური ფენომენი, ქართველ ტომებში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII-VIII სს-ში მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს (ღლონტი, 1986, 48).

სვანეთში გვარები XIII საუკუნიდან გვაქვს დაფიქსირებული. ამ საუკუნით თარიღდება სვანეთის „სულთა მატიანე“. ამ ძეგლში მოხსენიებული გვარები დღესაც იმავე სოფლებში არიან განსახლებულნი. XII-XIII საუკუნეებში მაჭახელში მკვიდრმა გვარებმა ჩვენამდე მოაღწია. XI საუკუნის ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებულია გიორგი **ქოჩოლავა**, აფხაზეთისავე ტერიტორიაზე წებელდაში XIII საუკუნის წარწერაში იკითხება ლუკა **მარტინავა**.



ხევში **ლუდუშაურის** გვარი პირველად 1439 წლის “გერგეტის მატთანეშია“ მოხსენიებული.

ქართული გვარსახელების სიძველეზე მიუთითებს აუარებელი ტოპონიმი, რომლებიც გვარის სახელს ატარებდა. ასეთი ტოპონიმები მთელ საქართველოში გვხვდება, განსაკუთრებით სამეგრელოში, მთიულეთში, აჭარაში.

ქართველ ხალხში მემკვიდრეობით სახელს ანუ გვარსახელს თავისი ფუნქცია ჰქონდა. ქართული ფეოდალური სისტემა მემკვიდრეობით სახელის არსებობას მოითხოვდა. ფეოდალს ყმა-გლეხი მამულზე მემკვიდრეობით ეჯდა. მიწაზე მჯდომი გლეხის მამული მემკვიდრეობით გადადიოდა, ამიტომ სოციალური ურთიერთობების გასაადვილებლად საჭირო იყო მემკვიდრეობითი სახელი. ეს ქართველ გლეხებს მკვეთრად უშლიდა ხელს ერთი ადგილიდან მეორეზე თავისუფლად გადანაცვლებულიყვნენ. ფეოდალური პერიოდის კანონმდებლობა იურიდიული პირის ზუსტ განსაზღვრას ითხოვდა. მიწაზე საკუთრებაც მემკვიდრეობით პრინციპს ემყარებოდა, რამაც ბევრად განსაზღვრა საკუთარ სახელთა სისტემა.

საქართველოში გვარის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგება: ჩვენში ერთი სისხლისანი, ნათესავები ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. ამას კი გვარი აწესრიგებდა, რადგან ერთი გვარის მატარებელნი ერთი წინაპრისაგან მომდინარეობდნენ. ამიტომაცაა, რომ ქართული გვარების თითქმის 90%-ს წინაპარი მამაკაცის სახელი უდევს საფუძვლად. ასე რომ, გვარის ანუ მემკვიდრეობითი სახელის აუცილებლობა საქართველოში ეგზოგამიურობითაც იყო განპირობებული.

როგორც ირკვევა, ადრინდელი ქართული გვარი VIII საუკუნით თარიღდება, თუმცა ქართული გვარი უფრო ადრეა წარმოქმნილი. უბრალოდ, ადრინდელმა წერილობითმა ძეგლებმა ჩვენამდე არ მოაღწია. ეთნოგრაფიული მასალების გააზრებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ საქართველოში მოხდა უწყვეტი გადასვლა პირველყოფილი გვარისა გვიანდელ გვარში და გვიანდელი გვარისა - გვარსახელში. ქართული ენა პირველყოფილ გვარსა და გვიანდელ გვარს ერთი ტერმინით („გვარი“, უფრო ადრე - „სახლი“) გამოხატავს.



ცნობილია, რომ „ოსმალეთში გვარსახელი არ არსებობდა. მემკვიდრეობითი სახელები გენეალოგიას არ წარმოქმნიდა და მამის სახელი შვილიშვილის თაობაში მემკვიდრეობით სახელწოდებას კარგავდა" (რ. თოფჩიშვილი). არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც თურქულ ყაიდაზე გაფორმებული გვარსახელი თაობიდან თაობას გადაეცემა და ნათესავთა ფართო წრის საერთო სახელწოდებად ყალიბდება. თურქული გაფორმება კი ასეთია - სახელს ერთვის თურქული სიტყვა იğli „შვილი“.

მართალია, დუზჯეს რეგიონში მუჰაჯირთა შთამომავლები ქართულ გვარებს ოფიციალურად არ ატარებენ, მაგრამ მათმა უმრავლესობამ იცის ქართული გვარი. ბევრ ოჯახში არის გვარის „გენეალოგიური ხე“, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ზოგმა დედის გვარი იცის, მამის - არა. დუზჯეს ქართველები დღემდე არიან თავიანთი ფესვების ძიების პროცესში. ეძებენ ახლობლებს, ნათესავებს, რომლებიც ისტორიულმა ბედისწერამ მიმოფანტა თურქეთის სხვადასხვა სოფლებში: „გემს მოუყვანიათ და დაუფანტავთ, მერე ვერ მოჭუჭულან ... დევიფანტეთ, დევიკარგეთ“ - გადმოსცემს ინფორმატორი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია დუზჯეს რეგიონში არსებული ქართული გვარების შესახებ, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ცხრილში არის დუზჯეს პროვინციის, გოლიაქას რაიონის სოფელ ეფთენში მცხოვრები ქართველების ქართული ანუ ძველი, ადრინდელი და თურქული ანუ შედარებით ახალი გვარები. ინფორმაცია საყურადღებოა იმითაც, რომ აქ ქართული გვარები ორ სვეტად არის წარმოდგენილი. პირველ სვეტში, გვარი იმ ფორმით არის, რა ფორმითაც მას საქართველოში ატარებდნენ, მეორე სვეტში, აღნიშნული გვარები თურქულადაა „გაფორმებული“ და მასში ქართული სიტყვის კვალი მაინც შეინიშნება და, როგორც ჩანს, ამ კვალის საბოლოოდ წასაშლელად სრულიად უცხო გვარებია მინიჭებული ქართველებისთვის. ცხრილში წლების მიხედვით მითითებულია მუჰაჯირობის ადგილი, სოფლის სახელები, სადაც პირველად ჩამოვიდნენ და საბოლოოდ გოლიაქას რაიონის (დუზჯეს პროვინცია) სოფელ ეფთენში დამკვიდრების წელი.



	ბვ. გვარი (1)	ბვ. გვარი (2)	დღევ. გვარი	მუჰაჯირობის ადგილი და წელი	პირველი სოფელი და წელი	ეფთენში დასახლების წელი და სოფელი
1	კვირხილ აშვილი- გულაშვი ლი	კვირხილოდლი- გოლოშვილი- გულაშვილი	აბაქ- ურალ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ(ამბ არალაჲ)/ამბ არალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ 1895
2	გოგითიმ ე	გოგითიმე- მეზერცოლლი	მეზარჯი- თემიზ	ბათუმი წონიარისი 1894	ჩილიმლი ჰიზარდერე 1894	(სარალთი)/ ჰაჯიმაქუფ 1938
3	?	თურანოლლი	აქჩად- აბან- თურან	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაჲ) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ 1905
4	?	ისმაილოლლი	საქალ- დავუზ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაჲ) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ 1895
5	ყოდთაძე	ყოდთოლლი	არსლან- ბაშარ- ბაშერ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაჲ) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ 1895
6	?	ყორჯოლლი	აქთაშ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაჲ) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ 1895
7	?	მოლაზმედოლლი	ქილიჩ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაჲ) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ 1895



8	?	მუხაჯიროდლი- შენლიქოდლი	შენლიქო დლი	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაჲ) /ამბარალან 1881	იმამლარ 1950
9	ომარაძე	ომეროდლი	ჩელები- ოზდოლა ნ- ოზდემირ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაჲ) /ამბარალან 1881	(სარალთი)/ ჰაჯიდაქუფ 1940
10	ქინზაშვი ლი	ქინზა- დაჰოდლი- ქინზაშვილი	ჩაქარ- ჩაქირ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაჲ) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ 1914
11	?	ყანთაროდლი- შაჰანალიოდლი- ყანთარაძე	შაჰინ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაჲ) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ 1905
12	ჩელებაძე	ჩელება- ჩელებოდლი- ჩელებაძე	ჩელები- ჩელებიო დლუ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაჲ) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ 1895
13	წარბაძე	წარბოდლი- წარბაძე	ადინოდ ლუ- მუთლუ- ზენგინ	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაჲ) /ამბარალან 1881	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ 1895
14	ჭახილაძე	ჭახილოდლი- ჭახილაძე	დასლი	ბათუმი წონიარისი 1881	გირესუნ (ამბარალაჲ) /ამბარალან 1881	(სარალთი)/ ჰაჯიდაქუფ 1940
15	?	ბდირაღთაროდლი- ბდირაღთარაძე	ბადრაქ	ბათუმი ?	ჩილიმლი ჰიზარდერე ?	(ჰაჯიმემედა ლიეფენდი)/ ჰამამუსთუ ?



16	?	ზეცაოლი- ზეცაძე	ჯენგიზ	ბათუმი 1878	ქარასუ ქოძერი 1878	დეშელ 1970
17	?	ბერბეროლი- ბერბერიშვილი	უფუნ	ბათუმი 1878	ქარასუ ქოძერი 1878	აჩმა 1960
18	?	?	ადაქ	ბათული ზეგანი ?	?	(პაჯიმეშედა ლიეფენდი)/ პამამუსთუ ?
19	?	?	ჩელები	ბათული ზეგანი ?	?	(პაჯიმეშედა ლიეფენდი)/ პამამუსთუ ?
20	?	პელიმოლი- პელიმიშვილი	პალიმ	ბათუმი	?	(პაჯიმეშედა ლიეფენდი)/ პამამუსთუ ?

ზეპირსიტყვიერი მასალა ინახავს ამა თუ იმ ერის, ენის ისტორიას, კულტურას და დროთა განმავლობაში თავად ხდება ისტორიის ნაწილი. ამიტომაც ნებისმიერი ხასიათის მასალის მოძიება საშური საქმეა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ახსოვთ, რა იციან, რა სჯერათ და როგორ წარმოუდგენიათ თავიანთი ისტორიული წარსული.

დამოწმებული ლიტერატურა

ინგოროყვა, 1941: პავლე ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბილისი, 1941

კეკუა 2017: სოფიო კეკუა, ოდიშ-აფხაზეთის ონომასტიკა ისტორიული საეკლესიო საბუთების მიხედვით, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2017



Ghlonti, 1986: ალექსანდრე ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი, 1986

ცხადაია, 2005: პაატა ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2005;

სწპ, 1988: სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, თბილისი, 1988.